შეთანხმების აქტი

ქ. ქუთაისი 13 აგვისტო, 2020 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (ს/კ 212677094) (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „დამსაქმებელი“) წარმოდგენილი მისი რექტორის, ლაშა კანდელაკიშვილის, სახით და მეორე მხრივ დასაქმებულები ნიკოლოზ სვანაძე (პირადი №60001010669) და ავთანდილი ქარქაშაძე (პირადი №60001123921) (შემდგომში „დასაქმებულები) შემდგომში „ხელშეკრულების მხარეები“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე შეთანხმების აქტს „ხელშეკრულების მხარეებს“ შორის არსებული შრომითი ურთიერთობისას დამატებითი ვალდებულების აღების შესახებ:

1. „დამსაქმებელი“ „დასაქმებულებს“ გასასცემს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის პროგრამული კოდს (Source Code) და შესაბამის მონაცემთა ბაზის ფაილს.
2. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის პროგრამული კოდი (Source Code) შესაბამისი მონაცემთა ბაზის ფაილი წარმოადგენს შპს ევროპის უნივერსიტეტის (ს/კ 201954956) ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანიბის შედეგს და მასზე ვრცელდება უნივერსიტეტის საავტორო უფლება.
3. „დასაქმებულებს“ ეკრძალება ისეთი ნებისმიერი ქმედების განხორციელება, კოდში ჩარევა, მისი შეცვლა (გარდა ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრისა) და დაზიანება, რომელიც დააზიანებს სასწავლო ბაზას.
4. „დასაქმებულები“ თანაბრად არიან ვალდებულნი ზედამხედველობა გაუწიონ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა (პროგრამული კოდის (Source Code)) და შესაბამისი მონაცემთა ბაზის ფაილით სარგებლობას, გააკონტროლონ სარგებლობის მიზნობრიობა და არ დაუშვან სხვა პირთა მიერ სისტემაზე/მონაცემთა ბაზის ფაილზე რაიმე სახის ზემოქმედება/დაზიანება/შეცვლა.
5. „დასაქმებულები“ ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურად “დამსაქმებლისგან” მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, აგრეთვე მონაცემები, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით. არ დაუშვან მისი (პროგრამული კოდის) გარეშე/მესამე პირისათვის გადაცემა, გასაჯაროება და გასხვისება.
6. კონფიდენციალურობის პირობების დარღვევის შემთხვევაში, „დამსაქმებელი“ უფლებამოსილია დაუწესოს (დააკისროს) „დასაქმებულებს“ საჯარიმო სანქცია 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით.

7. „დასაქმებულები“ ხემოწერით ადასტურებს, რომ ეთანხმებიან შეთანხმების პირობებს და რაიმე სახის პრეტენზია, საწინაამღდეგო არ გააჩნიათ.
8. შეთანხმების აქტით ნაკისრი ვალდებულება მოქმედებს „დასაქმებულების“ შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხოლო გადაცემული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება „დასაქმებულებს“ ეკისრებათ უვადოდ.
9. შეთანხმების აქტი შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელმოწერილია სამივე მხარის მიერ და დაერთვის მხარეთა შორის არსებულ შრომით ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

წინამდებარე აქტზე შეთანხმების დასადასტურებლად ხელს აწერენ:

„დამსაქმებელი“	„დასაქმებული“	“დასაქმებული”
შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“	ნიკოლოზ სვანაძე	ავთანდილ ქარქაშაძე
რექტორი: ლაშა კანდელაკიშვილი		